



**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით
საკონკურსო კომისიის სხდომის**

ო ქ მ ი № 4

ქ. თბილისი

24 მაისი, 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნინო ინწკირველი

საკონკურსო კომისიის წევრები: მამუკა სამხარაძე, ზვიად ნადირაძე,
მალხაზ ტაბლიაშვილი, ოლეგ დოლიძე.

საკონკურსო კომისიის აპარატის
წევრები: ლაშა ბოკუჩავა, გიორგი მესხი.

შპს „ოპტიმუსი“-ს დირექტორი: გაიოზ ჭანკვეტაძე

დღის წესრიგი: ქ. ადიგენის ტერიტორიული სამსახურის შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების მიზნით საჭირო საინჟინრო-საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე გამოცხადებულ #756 კონკურსში ზეპირ ვაჭრობაში მოწვეული შპს „ოპტიმუსი“-ს საკონკურსო წინადადების საბოლოო ღირებულების დადგენა და შეფასება.

საკონკურსო კომისიის წევრმა, მალხაზ ტაბლიაშვილმა მიმართა შპს „ოპტიმუსი“-ს დირექტორს, გაიოზ ჭანკვეტაძეს საკონკურსო წინადადების საბოლოო ღირებულების განსაზღვრის შესახებ, რაზედაც შპს „ოპტიმუსი“-ს დირექტორმა, გაიოზ ჭანკვეტაძემ უპასუხა, რომ მისი საკონკურსო წინადადების საბოლოო ღირებულებაა 3700 (სამიათას შვიდასი) ლარი.


კონკურსანტის, შპს „ოპტიმუსი“-ს წინადადებასთან დაკავშირებით, საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად შედგენილი და წარმოდგენილი წერილობითი დასკვნების საფუძველზე

კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილ იქნეს შპს „ოპტიმუსი“-ს საკონკურსო წინადადების ღირებულებით 3700 (სამიათას შვიდასი) ლარი და მოწვეულ იქნას ხელშეკრულების გასაფორმებლად არაუგვიანეს 2013 წლის 31 მაისისა;

2. 2012 წლის 10 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს #3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე საკონკურსო კომისიის აპარატმა დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ოქმის და შეფასების ცხრილების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე – contest@procurement.gov გამოქვეყნების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე:



/ნინო ინწვირველი/

კომისიის წევრი:



/მამუკა სამხარაძე/

კომისიის წევრი:



/ოლეგ დოლიძე/

კომისიის წევრი:



/ზვიად ნადირაძე/

კომისიის წევრი:



/მალხაზ ტაბლიაშვილი/